საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა

გიორგი ირემაშვილი, ხატია წიკლაური, ირმა ცაგურია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტის ზოგადი განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი - მანანა რატიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

მადლობა

ჩვენი სამაგისტრო ჯგუფი დიდ მადლობას უხდის ყველა იმ ადამიანს, რომელიც ჩვენთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა აღნიშნული კვლევის პროცესში. უპირველეს ყოვლისა, მადლიერებას გამოვხატავთ, პაოლო იაშვილის სახელობის, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლის დირექტორის - ქალბატონ სალომე აბრამიშვილს მიმართ, რომელიც მიმდინარე კვლევის ყველა ეტაპზე მხარს გვიჭერდა და მზად იყო თანამშრომლობისთვის. ასევე, დიდ მადლობას ვუხდით სასკოლო საზოგადოებას: სკოლის მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს.

განსაკუთრებული მადლობა გვსურს გადავხუდოთ ჩვენს სამეცნიერო ხელმძღვანელს ქალბატონ მანანა რატიანს, რომელიც გვაწვდიდა საჭირო რესურსებს, გვიწევდა კონსულტაციას და გვაძლევდა რეკომედნაციებს, რომ ჩვენი ნაშრომი სრულყოფილი გამხდარიყო.

დიდი მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერისტიტეს, რომელმაც შესაძლებლობა მოგვცა უნივერსიტეტში მიღებული თეორიული ცონდა გამოგვეყენებინა პრაქტიკაში და გვემუშავა აღნიშნულ საკვლევ საკითხზე. განსაკუთრებული მადლობა გვსურს გადავუხადოთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელს - ბატონ მიხეილ გიორგაძეს, რომელიც ორგანიზებას უწევდა ჩვენ მიერ დაგეგმილი ინტერვენციების განხორციელებას უნივერსიტეტში.

მადლობა პროფესიული უნარების სააგენტოს და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრს, რომელთა ორგანიზებით მოსწავლეებისთვის ჩატარდა ინფორმაციული და პრაქტიკული შეხვედრები.

ასევე, დიდ მადლობას ვუხდით ყველა მოწვეულ სტუმარსა და სკოლის წარმატებულ კურსდამთავრებულებს.

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად გამზადებულ ან დასაცავად წარსადგენ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად”.

ირმა ცაგურია

ხატია წიკლაური

გიორგი ირმეაშვილი

25.06.2024

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს “პრაქტიკის კვლევის“ ტიპს და მოიცავს მისთვის დამახასიათებელ ყველა ეტაპს: პრობლემის იდენტიფიცირებას, დიაგნოსტირებას, ინტერვენციების დაგეგმვას, განხორციელებასა და შედეგების შეფასებას.

კვლევა განხორციელდა სსიპ პაოლო იაშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლაში და საკვლევ თემად შეირჩა - საბაზო-საშულო საფეხურის მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა. კლიენტი ორგანიზაციის მხრიდან პროფესიული ორიენტაციის ხელშემწყობი კვლევის ინიცირება ინტერესის გამოხატვით დაიწყო, რაც პრაქტიკის კვლევის ბუნებრივი მახასიათებელია. დირექტორთან და მასწავლებლებთან დისკუსიისა და დიაგნოსტიკური ინტერვიუების საფუძველზე გამყარდა საერთო პოზიცია სკოლაში პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის აუცილებლობისა და საკითხის აქტუალურობასთან დაკავშირებით.

კვლევის მიზნობრივ კონცეფციას წარმოადგენდა მოსწავლეების დახმარება გააზრებული პროფესიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მოსწავლეებისთვის გააზრებული პროფესიული გადაწყვეტილების ხელშესაწყობად უნდა შეგვეთავაზებინა რელევანტური აქტივობები. სკოლის მოსაზრების არგუმენტირებულ საფუძველზე, ასევე, მიზნად დავისახეთ ინტერვენციებში მშობლების ჩართვა. პრაქტიკის კვლევის ბუნებიდან გამომდინარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა მოსწავლეებში და ზოგადად სკოლაში პროფესიული ორიენტაციის აქტუალიზაცია, სამომავლო პერსპექტივაში დამოუკიდებელი და ავტონომიური მუშაობის გააგრძელების მიზნით გზამკვლევი რესურსის შექმნა. საკვლევ კითხვად ჩამოყალიბდა - როგორ შევუწყოთ ხელი სკოლის ბაზაზე მოსწავლეთა პროფესიულ არჩევანს? რა სახის აქტივობებში ერთვებიან მოსწავლეები ინტერესით და რა სახის აქტივობებია მოსწავლეებისთვის ნაყოფიერი?

სამაგიდე კვლევით მოვიძიეთ და განვიხილეთ პროფესიულ და კარიერულ ორიენტაციასთან დაკავშირებული წამყვანი თეორიული მიდგომები. გავაანალიზეთ მათი მნიშვნელოვანი აქცენტები და საბოლოოდ კვლევის თეორიულ ჩარჩოდ შევარჩიეთ "გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების(GIZ)" მიერ შემუშავებული მოდელი - "პროფესიული ორიენტაციის ხუთეტაპიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესი". ჩვენი მიზნებისა და რესურსების გათვალისწინებით, მოვახდინეთ აღნიშნული მოდელის მოდიფიცირება და ჩამოვაყალიბეთ ინტერვენციების 3 ეტაპი: თვითშეცნობა, პროფესიული სამყაროს გაცნობა და პროფესიულ სამყაროსთან შეხვედრა.

თვითშეცნობის ეტაპზე "ბელბინის გუნდური როლების მოდელის" ადაპტირებით მოსწავლეებთან ჩატარდა სახალისო ჯგუფური თამაში. მოსწავლეებმა შეავსეს "კარიერული კონსულტირების" აქცენტების საფუძველზე შექმნილი მცირე ინდივიდუალური კითხვარი და ასევე თვითშეცნობის ხელშესაწყობად განხორციელდა ჯგუფური ინტერვიუები. პირველი ეტაპი დასრულდა "ჰოლანდის ტესტის" შევსებით, რომლის შედეგები, მცირე კითხვარის შედეგებთან ერთად, გამოვიყენეთ მოსწავლეების ინტერესების მიხედვით დასაჯგუფებლად და შემდგომი ინტერვენციების დასაგეგმად. მეორე ეტაპზე მოსწავლეები დისტანციურად შეხვდნენ სხვადასხვა პროფესიების წარმომადგენლებსა და სკოლის კურსდამთავრებულებს. მათ ისაუბრეს პროფესიების სპეციფიკაზე, საჭირო უნარ-ჩვევებზე, სირთულეებსა და ამ მიმართულებით საუნივერსიტეტო განათლების მახასიათებლებზე. ინტერვენციების ბოლო ეტაპი ითვალისწინებდა უშუალო ვიზიტებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და კოლეჯში. ასევე, მოსწავლეების ნაწილი სამსახურში ესტუმრა თანასკოლელების მშობლებს და გაეცნო სამუშაო გარემოს.

მოცემული პრაქტიკის კვლევა გრძელდებოდა 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში, რომლის დროსაც განხორციელებული ინტერვენციების გავლენა შეფასდა ფოკუს-ჯგუფისა და ელექტრონული კითხვარის დახმარებით. გამოკითხული მოსწავლეების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ პრაქტიკის კვლევის ფარგლებში ჩატარებული აქტივობები მათ დაეხმარათ პროფესიულ ორიენტირებაში. ისინი განსაკუთრებით დაინტერესდნენ თვითშეცნობის აქტივობებითა და დისტანციური

შეხვედრებით პროფესიის წარმომადგენლებთან და სკოლის კურსდამთავრებულებთან, რაც მეტყველებს სკოლაში პროფესიებთან დაკავშირებული ინფორმაციის ნაკლებობაზე და მოსწავლეების მხრიდან მაღალ ინტერესზე. მასწავლებლებმა და დირექტორმა გამოხატეს მზაობა მომავალში გააგრძელონ მუშაობა პროფესიულ ორიენტაციაზე და განახორციელონ მნიშვნელოვანი ცვლილებები, როგორც საკითხის სწავლა-სწავლების პროცესში ინტეგრირებით, ისე პროფესიული განათლების მოდულების დანერგვით.

საძიებო სიტყვები: პროფესიული ორიენტაცია, პრაქტიკის კვლევა, ინტერვენციები, პროფესიები, უნარები, ინტერესები, პროფესიის არჩევა.

Abstract

This study represents a „practice research“ type and includes all stages characteristic of it: problem identification, diagnosis, planning interventions, implementation, and evaluation of results.

The research was conducted at the LEPL Paolo Iashvili Public School of Argveti village, Sachkhere Municipality, and the research topic chosen was supporting professional orientation for basic-secondary level students. The client organization initiated the research supporting professional orientation by expressing interest, which is a natural characteristic of practice research. Based on discussions with the director and teachers and diagnostic interviews, a common position was strengthened regarding the necessity of supporting professional orientation in the school and the relevance of the issue.

The targeted concept of the research was to help students make informed professional decisions. To support students in making informed professional decisions, we needed to offer relevant activities. Based on the school's reasoned opinion, we also aimed to involve parents in the interventions. Due to the nature of practice research, the aim of the work was to actualize professional orientation among students and in the school in general, and to create a guideline resource for continuing independent and autonomous work in the future perspective. The research questions were formulated as follows: How can we support students' professional choices at the school level? What types of activities do students engage in with interest? and What types of activities are productive for students?

Through desk research, we found and discussed leading theoretical approaches related to professional and career orientation. We analyzed their important aspects and finally selected the model developed by the German Society for International Cooperation (GIZ) - "Five-stage decision-making process of professional orientation" as the theoretical framework for the research. Considering our goals and resources, we modified this model and developed 3 stages of interventions: self-awareness, familiarization with the professional world, and meeting the

professional world. At the self-awareness stage, a fun group game was conducted with students, adapted from the "Belbin Team Roles Model". Students completed a small individual questionnaire based on "career counseling" accents, and group interviews were also conducted to promote self-awareness. The first stage concluded with completing the "Holland Test", the results of which, along with the results of the small questionnaire, were used to group students according to their interests and plan further interventions. In the second stage, students remotely met representatives of various professions and school graduates. They discussed the specifics of professions, necessary skills, difficulties, and characteristics of university education in these directions. The final stage of interventions involved direct visits to higher education institutions and colleges. Also, some students visited their classmates' parents at work and familiarized themselves with the work environment.

This practice research continued throughout the 2023-2024 academic year, during which the impact of the implemented interventions was evaluated using focus groups and an electronic questionnaire. The majority of surveyed students noted that the activities conducted within the framework of the practice research helped them in professional orientation. They were particularly interested in self-awareness activities and remote meetings with profession representatives and school graduates, which indicates a lack of profession-related information in the school and high interest from students. Teachers and the director expressed readiness to continue working on professional orientation in the future and implement significant changes, both by integrating the issue into the teaching-learning process and by introducing professional education modules.

Keywords: Professional orientation, practice research, interventions, professions, skills, interests, choosing a profession.